რუსუდან ცანავა
ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
rusudanca@yahoo.com
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.103

ზევსი და ქალაქის დაარსების მითოლოგემა

ყველა წარმართულ თუ მონოთეისტურ რელიგიაში სამყაროს და ადამიანებს ქმნის უზენაესი ღმერთი. ზევსს არც სამყაროს კრეაციაში მიუღია მონაწილეობა, არც – ადამიანის. ვფიქრობ, ზევსის, როგორც მთავარი კულტურული ფასეულობების – ქვეყნებისა და ქალაქების დამაარსებელი გმირების **მამის** კონცეფცია ამ „ხარვეზის“ გადასაფარად დამკვიდრდა. მართალია, ზევსს არც ქვეყნიერება შეუქმნია, არც ადამიანთა მოდგმა, მაგრამ მან წარმოშვა სოციალური ცხოვრების განმსაზღვრელი ადამიანები – ქვეყნებისა და ქალაქების მაშენებელი გმირები; ადამიანები, რომლებიც გაუკვალავი გზებით, ხმელეთითა და ზღვით, აღწევენ „ძალის“ ადგილებამდე და აარსებენ ქალაქებს.

მოხსენებაში წარმოვადგენ „ქალაქის მითოლოგემას“ თებესა და ილიონის მაგალითზე.

ჯერ განვიხილოთ გზა, როგორც სიმბოლო: აქვს თუ არა „გზას“ სივრცული ორიენტაციის ფუნქცია მითოსურ წარმოდგენებში? დავიწყოთ სემიოტიკით. როგორც ცნობილია, სიტყვა ცნების სრულ შინაარსს კი არ გამოხატავს, არამედ მის ერთ-ერთ ნიშანს, სწორედ იმას, რომელიც ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ალ. პოტებნიას დაკვირვებით, სხვადასხვა სლავურ ენაში (მითოპოეტურ მეტყველებაში) გზის სხვადასხვა მნიშვნელობაა ასახული, შესაბამისად, გზა, როგორც სიმბოლო, რამდენიმე მნიშვნელობას „იტევს“. წარმოვადგენ რამდენიმე ნიმუშს: *გზა აღნიშნავს*: ა) ადამიანის მიერ ხელშეუხებელ სივრცეს; გაუკვალავით სვლას. ბ) თოვლიან სივრცეს, რომელიც არ არის დაკვალიანებული, თეთრი ზეწარია. გ) გზას უკავშირდება *კვალი, ბილიკი, ნაურმალი;* ეს სიტყვები „გლეჯის“ (ბუნებრივი ზედაპირის დაზიანების) „გაფუჭების“ კონტექსტს შეიცავენ. დ) გზა – via – არის არქანგელოზი. ე) გზა – თოკი, ლენტი. ვ) გზას შეუძლია მისწვდეს ცას. ზ) გზა ამბობს: „ხელები და ფეხები რომ მქონდეს, ქურდს გავკოჭავდი; პირი და თვალები – ყველაფერს მოვყვებოდი“. თ) გზის მუდმივი ეპითეტია „ფართო“. ი) გზაზე ვინმეს გაყოლიება აღნიშნავს დაქვემდებარებას, მსახურებას. გზის ამ კონტექსტს უკავშირდება ქმედება – ცოლად გაყოლა. კ) გზა, როგორც ქსოვილი; გამონათქვამი скатертью дорога აღნიშნავს ვინმესთვის უსაფრთხო გზის სურვილს. ლ) გზა – ქსოვილი (ткань). გზაზე სიარული და ქსოვილის დახევა ნიშნავს ქალის სიყვარულს [9: 86-88][1] .

რა თქმა უნდა, საინტერესო იქნებოდა გზის სემანტიკის კვლევის არეალის გაფართოება სხვა ენების მაგალითზეც, მაგრამ, ამ ეტაპზე აქ შევჩერდებით.

ძველ ბერძნულ ენაში გზას აღნიშნავს: hJ oJdov~ (გზა) hJ aJtrapov~ (ბილიკი), h Jkevleuqo~ გზა, მანძილი, ლაშქრობა, მოძრაობა), hJ aJmaxitov~ (საურმე გზა). ყველა სიტყვა მდედრობითი სქესისაა. ის, რომ ქვეყნების, ქალაქების და კუნძულების სახელდებები მდედრობითი სქესისაა [18:28] მითის ლოგიკით ადვილად აიხსნება: ყველაფერი, რაც მიწიდან აღმოცენდება, მიწაზეა

[1] ეს არის გზის მნიშვნელობების არასრული ჩამონათვალი სლავურ ენებში. აქ არც ის ენები მიმითითებია, სადაც დასტურდება წარმოდგენილი მნიშვნელობები; დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მასალა მოიძიოს ა. პოტებნიას დასახელებულ ნაშრომში.

დაფუძნებული უკავშირდება პირველმიზეზს – გეას, (Magna Mater-ს), არქაული რწმენა-წარმოდგენების მთავარ სიმბოლოს[2]. ახლა მივუბრუნდეთ ქალაქს, რომელიც კრომლეხის პრინციპით შენდება და გულისხმობს წრიული ან რამე სხვა ტიპის გეომეტრიული ფორმის შემოფარგლულობას (გალავნით, მიწაყრილით).[3] თუ ქალაქის სემანტიკური გაგება მდედრულ საწყისთან – გეასთან – არის დაკავშირებული, რატომ არის გზა – სივრცული მახასიათებლების მიხედვით ვექტორული წარმონაქმნი – მდედრობითი სქესის? ქალაქი და გზა სიმბოლოების ენაზე „იკითხება“, როგორც მდედრისა და მამრის მიმართება. გზა ავსებს, ამდიდრებს და „ანაყოფიერებს“ ქალაქს. ხომ არ იგულისხმება hJ oJdov~ -ში ამ სიმბოლოს ამბივალენტური ბუნების გამოძახილი? ერთი მხრივ, hJ oJdov~ მიწის (გეას) ნაწილია, რომლითაც გადაადგილდება ადამიანი და მეორე მხრივ, გზა, როგორც დიდი სირთულეების გადალახვის სიმბოლო მამრულ საწყისს, ფალიკურ კონტექსტს უკავშირდება. ანუ, hJ oJdov~-მა შეითავსა ორი სიმბოლური ასპექტი და წარმოდგა, როგორც მითოლოგემა.

გზას აღნიშნავს აგრეთვე oj drovmo~. ამ სიტყვას ბევრი მნიშვნელობა აქვს: oj drovmo~-ის მრავლობითის ფორმა აღნიშნავს „ სირბილს“; სამხედრო საქმეში ნიშნავს ფორსირებულ მარშს; აქვს აგრეთვე სწრაფი სიარულის, სირბილის მნიშვნელობა; სირბილში შეჯიბრსაც აღნიშნავს. ერთ-ერთი მნიშვნელობაა ბილიკი ან მოედანი სირბილში (რბოლაში) შეჯიბრისათვის. იტევს „წრის“, „ბოლო პუნქტის“ მნიშვნელობას. აღნიშნავს სასეირნო ადგილსაც, და ბოლოს, მნიშვნელობათა ჩამონათვალშია „ გზა“, „მანძილი“ [5] . ამ drovmo~-ს მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება მიცვალებულთა მოსაგონრად და პატივსაცემად გამართულ დოღსა და ეტლებით სრბოლის რიტუალებში [1].

გზას უკავშირდება ***ზღურბლი***, რომელიც ადამიანმა უნდა გადალახოს გზის დასაწყისში, ან დასასრულს, ან ორივეჯერ. გზასვე უკავშირდება ***გადასვლა.*** ზღურბლს გადალახავს გმირი სკნელიდან სკნელში გადასვლისას. და ბოლოს, ინიციაციის რიტუალები, არსებითად, „ზღურბლზე გადასვლის“ რიტუალებია. აქედან გამომდინარე, ზღურბლს მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება მითსა და რიტუალში; ეს ფუნქცია უნივერსალურია – დასტურდება ყველგან. ზღურბლი ითვლებოდა წმინდა ადგილად და უმეტესად იქ ტარდებოდა მსხვერპლშეწირვის რიტუალი. ზღურბლთან „ცხოვრობდნენ“ მიცვალებულთა სულები. ადამიანები ცდილობდნენ ისე გადაევლოთ ზღურბლზე, რომ არ შეხებოდნენ. საქორწილო რიტუალებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადათი იყო პატარძლის „გადატარება“ ზღურბლზე[4]. გადასვლა (переправа) სხვადასხვაგვარად ხორციელდება, თუმცა ყველაფერი ამოდის ერთი წარმოდგენიდან – რა გზას გაივლის გარდაცვლილი ადამიანის სული. სულმა შეიძლება მიიღოს ცხოველის ან ფრინველის იერი. გადასვლა შეიძლება განხორციელდეს ცხენით, გემით[5]. გმირს შეიძლება ახლდეს გამყოლი. ზეაღსვლა ხორციელდება ხეზე, კიბეზე, ჯაჭვზე ასვლით. ა) მითოსის გმირი შეიძლება გადაადგილდეს „ვექტორულად“, წრფივად - შინიდან წავიდეს და აღარ დაბრუნდეს; გზის ბოლოს შეიძლება ჩაიდინოს საგმირო საქმე ან

---

[2] გეას (მაგნა მატერის) ყველა ფუნქცია და სიმბოლიკა საფუძვლიანად არის გაანალიზებული მირჩა ელიადეს ნაშრომში M. Элиаде 1999 .

[3] ქალაქის დაარსების მითორიტუალურ მოდელზე იხ.: რ. ცანავა 2015:155-158.

[4] ზღურბლთან და გადასვლასთან დაკავშირებული რიტუალები განხილულია ნაშრომებში: A. ван Геннеп 1999; Дж. Дж. Фрэзер, 1989:369-379. В. Я. Пропп 1946).

[5]მიცვალებულების გემზე (ნავზე) დაკრძალვის ტრადიცია იყო სკანდინავიაში. ამ ტრადიციაზე მსჯელობისას ვ. პროპი მოიხმობს ა. ბოლდირევის მოსაზრებას: „ბერძნები არასდროს ყოფილან ჭეშმარიტი მეზღვაურები. ზღვა მათთვის უცხო სტიქია იყო“ (А. В. Болдырев 1926). ბერძენმა მეზღვაურებმა გემთმშენებლობის ხელოვნებს ფინიკიელებისგან ისწავლეს და ეგეოსის ზღვას სერავდნენ ძვ. წ-ის IX-VII ს-დან.

დააარსოს ქალაქი (//ქვეყანა). საგმირო საქმის ჩადენის შემდეგ გმირმა, შესაძლოა, კვლავ განაგრძოს გზა და ასე იხეტიალოს, ვიდრე სიკვდილი არ ეწევა. ბ). უფრო ხშირია მოდელი, როდესაც გმირი გადის შინიდან, ჩაიდენს საგმირო საქმეს და ბრუნდება. ჯ. კემპბელი გვთავაზობს გმირის მითოსური მოგზაურობის უნივერსალურ ფორმულას და განვლილი გზის ტიპურ მოდელს: **დასაწყისი (შინიდან) გამოსვლა ---> ინიციაცია --> დაბრუნება.** ეს არის მონომითის ბირთვი [7:44-182] .



გ). მითოსურ ციკლებში გვხვდება „შერეული“ მოდელიც.

ქალაქი. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც პირველყოფილი ადამიანები სადგომებს იწყობდნენ, „საჭირო“ ანუ „ძალის ადგილის“ პოვნას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს დასტურდება უკვე პალეოლითის ეპოქიდან სხვადასხვა კონტინენტების აბორიგენთა რწმენა-წარმოდგენების შესწავლის საფუძველზე, ადრეული წარმართობის ამ ეტაპს მეცნიერები შამანიზმს უწოდებენ [12; 15;14; 6]. ვარაუდობენ, რომ სწორედ პროტოშამანიზმის ეპოქაში გამოიკვეთა რამდენიმე მითორიტუალური მოდელი, რომელთა შორისაა ე.წ. „ქალაქის დაარსება“. შამანური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, საჭირო, ანუ საკრალურ ანუ „ძალის“ ადგილს პოულობს შამანi[6]. ძალის ადგილი რომ იპოვოს, შამანმა უნდა შეასრულოს ექსტატიკური რიტუალი _ კაუმანეკი, რომლის საშუალებითაც მასში გაიხსნება მაძიებელი ჩაკრა. მაძიებელი ენერგეტიკა აკუმულირებულია ე.წ. **ხარის ჩაკრაში**.

ძველბერძნულ მითებში შამანური ეზოთერული ხედვა „დამიწებულია“. ბერძნულ მითებში ხარის ჩაკრას ენაცვლება ბიოლოგიური ხარი ან ძროხა _ bou˜ (ბუს), რომელიც მითოსურ გმირს მიუძღვის საკრალური ადგილისკენ. ასეთი ადგილების არსებობას კაცობრიობა აღიარებს არა მარტო მითების დონეზე, არამედ ისტორიულ ეპოქებშიც. უძველესი წარმოდგენები „ძალის“ ადგილის შესახებ ეხმიანება ბოლოდროინდელ მეცნიერულ აღმოჩენებს. კოსმოსიდან გადაღებულ ფოტოებზე დაფიქსირდა ე.წ. „მაგნიტური არხები“ დედამიწის ცალკეულ ადგილებში, რომელთაგანაც ძლიერი გრავიტაციული ნაკადები ამოედინება [11: 90-100].

[6] ამ საკითხზე ზემოთ მითითებულ ავტორებთან ერთად იხ. აგრეთვე R. W. Smith 1889 . A. Elkin 1974.

პირველყოფილი ხალხების წარმოდგენით, ყველა დიდ ქალაქს აქვს თავისი საკრალური პროტოტიპი. მაგალითად: ბაბილონელთა ყველა ქალაქის არქეტიპი თანავარსკვლავედებია. ეს არქეტიპები არა მარტო უსწრებს მიწიერ კორელატს, არამედ ის მუდმივად არსებობს ზეციურ განზომილებაში. ბაბილონელთა რწმენით, მათი ყველა სამეფო ქალაქი მითოსური მაგალითის საფუძველზე შეიქმნა იმ „პირველ“ ანუ მითოსურ დროში. მსგავსი წარმოდგენები ჰქონდათ ინდოელებს. პლატონის მიხედვითაც, იდეალურ ქალაქს აქვს თავისი ზეციური არქეტიპი [14:28-29]

თებე და ილიონი ის პირველქალაქებია, რომელთა დაარსების მითოლოგემაში ჩადებულია მოდელი სხვა ქალაქებისთვის. პაროსის მარმარილოს ცნობილი წარწერის მიხედვით, კადმოსის მიერ თებეს დაარსება თარიღდება ძვ. წ-ის 1518 წლით, წარღვნიდან 10 წლის შემდეგ.

კადმოსის მიერ დაარსებული თებე ბეოტიის ქალაქი იყო. ბეოტიამ სახელდება მიიღო იმ ძროხისგან (ბუს), რომელიც კადმოსს მიუძღოდა ღმერთებისგან ბოძებული მიწისკენ. ძროხა მიუძღვოდა ილოსსაც ილიონისკენ. ეს ძროხა ილოსმა ასპარეზობაში გამარჯვების შედეგად მიიღო და მისანმა ურჩია, სადაც ძროხა დაწვებოდა, იქ აეგო ქალაქი. ილოსი ასეც მოიქცა. ისე რომ, თებეც და ილიონიც ძროხებმა მიასწავლეს გმირებს.

თებე მსოფლიო ჰარმონიის ცენტრია. ქალაქის სიმბოლოა კადმოსის ცოლის _ ჰარმონიას ყელსაბამი. თებეს 7 კარიბჭე კი 7 მთავარ პლანეტას შეესაბამება.

ჩვენ ვსაუბრობთ მითიურ ქალაქებზე, ანუ ქალაქებზე, რომლებიც მითიურ დროში დაარსდნენ და მითში არსებობენ, თუმცა შემდგომ მითის ინფორმაცია შეუერთდა რეალურს და მითიური ქალაქების ლოკალიზაცია რეალურს მიესადაგა, ან რეალური ქალაქის ისტორია დაიწყო მითიური პერიოდიდან. საქმე ისაა, რომ ისტორიული ქალაქები, რომელთაც „მითიური წარსული“ ჰქონდათ (თებე, ილიონი, მიკენი, ათენი...) ისტორიულ ეპოქაშიც განსაკუთრებულ ფუნქციას ატარებდნენ. პ. ვიდალ-ნაკეს აზრით, ბერძნული პოლისი საკვანძო ბინარული ოპოზიციების ერთ-ერთი უმთავრესი ნიმუშია; ოპოზიცია ქალაქი _ სოფელი (პოლისი _ აგროსი) ბერძენთა სახელმწიფოებრივი აზროვნების ქვაკუთხედია. ამ ოპოზიციაში პოლისი განასახიერებს კულტურას, წესრიგს, პროგრესს. პოლისი ცხოვრობდა და წარმოჩინდებოდა ლოგოსის საშუალებით; იგი თავად იყო სიტყვა, რომელიც ჟღერდა აგორაზე [3:28-31]. არქეოლოგიური მასალა ცხადყოფს, რომ უძველესი ქალაქების დაგეგმარებას კრომლეხის პრინციპი ედო საფუძვლად. ეზოთერულ დონეზე „პირველქალაქში“ მანდალას მოდელი ხორციელდებოდა.

გადმოცემებში პირველქალაქის დაარსების შესახებ აქცენტირებულია, რომ ქალაქი უნდა შემოიფარგლოს გალავნით, რომელსაც აქვს რამდენიმე კარიბჭე. თებეს გალავანი და ილიონის გალავანიც არაორდინარულად აიგო. ეს გალავნები ქალაქებს შეუვალს ხდიდა, თუმცა ორივეს ჰქონდა დაუცავი ადგილები: თებეს ის ადგილი, სადაც სემელე დაიწვა ზევსის ელვისგან, ილიონს _ მცირე მონაკვეთი, რომელიც მოკვდავმა ააგო.

თებეს 7 კარიბჭე ჰქონდა, ილიონს _ 6. თითოეულს თავისი სახელი ერქვა და თავისი მცველი ჰყავდა. ამ კარიბჭეებზე ჩამოკიდებდნენ ხოლმე ქალაქის მცველ ამულეტებს ან ნაალაფარ ნივთებს.

პირველქალაქებს უმეტესად აარსებდნენ შორიდან მოსული გმირები. ყველა მითიურ ქალაქს ჰქონდა საკრალური ცენტრი, სადაც აგებდნენ ტაძარს და ინახებოდა ქალაქის მთავარი სიწმინდე.

როგორც უკვე აღინიშნა, ქალაქი არსდებოდა კრომლეხის პრინციპით, რომელიც გულისხმობს კლანების გაერთიანებას; ყველა კლანს შეიძლება ჰქონოდა თავისი კლანის ინსიგნია

_ ნივთი ან ცხოველი. ამ ცხოველებს შორის, როგორც ვთქვით, გამორჩეული ადგილი ეჭირა ძროხას (ბუსს).

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქალაქს თავისი მფარველი ღმერთი ჰყავდა (უმეტესად, ქალღმერთი), ქალაქები (მხედველობაში მაქვს ე.წ. პირველქალაქები) ზევსის ნებით შენდებოდა და ინგრეოდა. ქალაქი ზევსის კომპეტენციაში შედიოდა. ქალაქების მფარველობა, აღმშენებლობა თუ დასჯა, ზევსის უზენაესობის ერთ-ერთი დასტური იყო.

ლიტერატურა:

1.Балонов Ф.Р., (2000): Колесничные ристания, как форма погребального жертвоприношения. В сб.: Жертвоприношение, Москва.

2.Болдырев А. В., (2021): Религия древне-греческих мореходов, В сб.: «Религия и общество», Ленинград.

3.Видаль-Накэ П., (1999): Черный охотник. Формы мышления и формы общества в греческом мире, Москва.

4.Геннеп ван, Арнольд,, (1999): Обряды перехода: Систематическое изучение обрядов; Изд. Восточная литература РАН, Москва.

5.Дворецкий И. Х., (1958): Дренегреческо-русский словарь, т. 1, Москва.

6.Диксон О., (2000): Шаманизм, история, теория и практика коренных шаманских традиций, «Релф-бук», Москва.

7.Кэмпбелл Дж., (1997): Герой с тысячью лицами. Миф, архетип, бессознательное; Пер. с англ., «София», Киев.

8.Фрэзер, Дж. Дж., (2000): Фольклор в Ветхом Завете; Пер., с англ., Изд. «Политическая литература», Москва.

9.Потебня А.А., (2000): Символ и миф в народной культуре, «Лабиринт», Москва .

10. Пропп В. Я., (1946): Исторические корни волшебной сказки, Ленинград.

11.Ткаченко О. С., (1994): Триединство, «Русская мысль», Москва.

12.Элиаде М., (1998): Шаманизм, Архаические техники экстаза, «София», Киев.

13.Элиаде М., (1999): Земля, Женщина и плодовитость, в кн.: Очерки сравнительного религиоведения, пер. с англ., «Ладомир», Москва.

14.Элиаде М., (2000): Миф о вечном возвращении, пер с англ., «Ладомир»,. Москва.

15.Элиаде М., (2002): Тайные общества, обряды, инициации и посвящения, пер. с англ., «Ладомир», Киев.

16.Elkin A., (1974): The Australian Aborigines. Sydney.

17.Smith R. W., (1987): Burnett Lectures (The Primitive Religiones of the Semitic peoples). Cambridge.

18.ურუშაძე ა., (1987): ძველი ბერძნული ენა, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.

19.ცანავა რ., (2015): მითორიტუალური მოდელების გენეზისისა და ფორმირების საკითხისათვის, კრებულში Opuscula, „ ლოგოსი“, თბილისი.

Rusudan Tsanava

Iv. javakhishvili State University

Zeus and City Foundation Mythologem

Abstract

In all religions, whether pagan or monotheistic, the supreme deity is the creator of the universe and humans. However, Zeus cannot be credited with either. I believe the concept of Zeus as the father of the founders of countries and cities, important cultural achievements, was developed to make up for the “deficiency”. Although not the creator of the world or the men, Zeus nevertheless engendered people who are at the origins of social life (civilization) _ the heroes who built countries and cities, who challenged untrodden paths, lands and waters to reach the spots of power and found a city.

I will discuss the “city mythologem” based on the example of Thebes and Ilion.

The way leading to a city is conceptualized as a conduit of culture, “fertilization” and cultivation. As regards the selection of city sites, the practice of looking for the so-called “loci of power” goes back to prehistoric times. The city founders would perform special rituals before proceeding with cromlech-type settlement planning.

According to primordial beliefs, all major cities have a sacral prototype. For example, constellations are the archetypes of all Babylonian cities. These archetypes not only precede their earthy correlates but abide forever in the celestial dimension. “Large cities” play an important role in the history of humankind. Such are the cities of Thebes and Ilion.